№ 193 სექტემბერი 13, ოთხშაბათი 1889 სექტემბერი 13, ოთხშაბათი № 193

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, აკშალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში ს. სახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

## სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მჭედლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

პარაკლისი და დაწყება სწავლისა 4-ს სექტემბერს იქნება. (15—2)

ტფილისი, 12 სექტემბერი

გუშინ მკითხველს მოკლედ ვუამბეთ, თუ როგორ არის მოწყობილი პირველ-დაწყებითის სწავლა-განათლების საქმე შვეცია-ნორვეგიაში, რომელიც ამ მხრით მთელს ევროპას სამაგალითო სახელმწიფოდა ჰყავს მიჩნეული. ჩვენა ვთსქვით, რომ საძირკველი შვეცია-ნორვეგიის წარმატებისა ის არის, რომ თითოეულს მკვიდრს, წოდებისა და სქესის განურჩევლად, ეძლევა თავი და თავი სახსარი სწავლა-განათლებისა, სახელდობრ, წერა-კითხვისა და პირველ-დაწყებითის ანგარიშის ცოდნა, და რომ საპროფესიო სწავლა-ცოდნა, ესე იგი ცოდნა სხვა-და-სხვა ხელობისა, ისე არსად არ არის რიგიანად დაყენებული და გავრცელებული, როგორც ამ ორს პატარა, ღარიბსა და სუსხიანს ქვეყანაში. ამიტომაც დღეს მთელი ევროპა თვალ-ყურს ადევნებს შვეცია-ნორვეგიის ყოფა-მდგომარეობას და სცდილობს ამ ქვეყნის გამოცდილება და მაგალითი გამოიყენოს. თვით გერმანიაც-კი, რომელმაც სახელი მოიხვეჭა სწავლა-განათლებით, პირველ-დაწყებით სკოლებით, და რომელმაც სკოლის დახმარებით პირქვე დაამხო და მიწასთან გაასწორა საფრანგეთი, ჰგრძნობს, რომ პირველ-დაწყებითის სწავლა-განათლების საქმეში შვეცია-ნორვეგიაზე ბევრად უკანა სდგას. მაგალითად, გერმანიაში, რომლის ერი განთქმულია მუყაითობით, ბეჯითობით, ისე არ არის გავრცელებული ხელ-საქმეობა და საპროფესიო სწავლა-ცოდნა, როგორც შვეცია-ნორვეგიაში. ამის შესახებ, ამ ზაფხულს, გერმანელ მასწავლებელთ ქ. აუგსბურგში, მასწავლებელთა ოც-და-მერვე კრებაზე, სჯა და თათბირი ჰქონდათ და ის აზრი წარმოითქვა, რომ გერმანიამ მეტი ყურადღება უნდა ათხოვოს ხელ-საქმეობისა და სხვა-და-სხვა ხელობის სწავლებას, და რომ ამ საქმეში უთუოდ უნდა იხელმძღვანელოს შვეცია-ნორვეგიის მაგალითითა და გამოცდილებით, რადგანაც ამ ქვეყანაში ეგ საგანი სამაგალითოდ არის დაყენებული და ამის გამოისობითვე შვეცია-ნორვეგიის მოზარდი თაობა ფიზიკურად იწვრთნება, ჯან-მრთელი და საღია, გონებით არ იქანცება, და ცხოვრებაში ფეხის შედგმისათანავე შეუძლიან ყოველ გვარს საქმეს ხელი მოჰკიდოს. კრებაზე აღიარეს, რომ, მაშინ-როდესაც გერმანიასა და სხვა ქვეყნებშიაც მოზარდი თაობა თანდათან იქანცება გონებით და სულისა და სხეულის მხნეობასა და ძალ-ღონეს სტოვებს სკოლებში, შვეცია-ნორვეგიის მოზარდი თაობა სულით და სხეულით მხნე, ბეჯითი და გამძლეა. ამ აზრის მიხედვით კრებამ დაადგინა შემოიღოს საცდელად სკოლებში ხელ-საქმეობისა და სხვა-და-სხვა ხელობის სწავლება, ხოლო ჯერ-ჯერობით ეგ სწავლება სავალდებულო არ უნდა იყოს. თუ რა დიდი და სასიკეთო მნიშვნელობა აქვს საპროფესიო სწავლა-ცოდნას მოზარდის თაობისა და მთელის ერის ვითარებისა და წარმატებისათვის, ამაზე მკითხველს შემდეგში უფრო ვრცლად მოველაპარაკებით და ეხლა-კი მოკლედ შევეხებით ერთს სხვა საგანს, რომლის შესახებაც ჰქონდა სჯა გერმანელ მასწავლებელთა კრებას.

ამ მეორე საგნის შესახებ «ივერიაშიაც» მრავალჯერ გვქონია საუბარი და, რაკი შემთხვევა გვეძლევა, კიდევ ერთხელ მივუბრუნდებით. კრებას ხანგრძლივი ლაპარაკი ჰქონდა იმის შესახებ, რომ სკოლას ეროვნული ხასიათი უნდა ჰქონდეს და რომ სკოლებში შეძლებისამებრ ვრცლად უნდა ისწავლებოდეს საკუთარის ერისა და ქვეყნის წარსული და აწმყო ვითარება. ამ საგნის შესახებ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ალბრეხტ რიხტერმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ მოზარდ თაობისათვის აუცილებლად საჭიროა ერის გრძნობა-გონებისა და ხელობის ნაწარმოებთა შესწავლა და შეგნება. ეს ჭეშმარიტება დღეს საყოველთაოდ აღიარებულია და ყოველგან იმასა სცდილობენ, რომ მოზარდმა თაობამ გონივრულად შეისწავლოს და შეიგნოს საკუთარის ერის წარსული ვითარება, რათა აწმყოს პირ-ნათლად გაუძღვეს და მორიდგან მერმისსაც ჰხედავდეს. ჩვენდა სასიკეთოდ, ეგ აზრი ჩვენშიაც ფეხს იდგამს და თუ ვინმეა იმის წინააღმდეგი, ისიც რამდენიმე წარამარად მოლაქლაქე, რომელთაც არც წარსულისა და არც მერმისისა არა ესმისთ-რა.

ე. ი.

## ახალი ამბავი

*** „წერა-კითხვის საზოგადოებამ" შეიძინა სამუდამოდ აკაკისაგან მისგან ნათარგმნი „იგავ-არაკნი" კრილოვისა. აკაკის მისცა საზოგადოებამ ამისათვის ოც-და-ექვსი თუმანი. ზოგიერთი ზემოხსენებული იგავ-არაკი უკვე იყო დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში. იგავ-არაკების დაბეჭდვა საზოგადოებას უნდა სურათებით. საზოგადოებას ამისათვის საჭირო კლიშეები კიდეც დაუბარებია პეტერბურგიდამ.

*** 10 სექტემბერს სოფელს ქარელში შეიპყრო გორის სამაზრო პოლიციამ ქარელელი ისრაელი მარდახა კრიხელი, რომელსაც დაჰბრალდა ოთხის ცხენის მოპარვა სოფელს ქვენტკოცაში. იმ საღამოსვე ისრაელი გორს წაიყვანეს.

*** ის გამმიჯნველთა კომისია, რომელიც ჰმიჯნავს მამულებს ქართლში, ფრონის ხეობაზედ, უკვე მორჩა მამულების გამიჯნვას სოფელს წვერსა და არადეთში და ამ მოკლე ხან-

## ფელეტონი

### საინგილო *)

ეთნოგრაფიული წერილები

დავუბრუნდეთ ისევ ახლად დაბადებულს. რაღა თქმა უნდა, ეხლა ბავშვს ქრისტიანი ინგილოები ნათლავენ და სახელს არქმევენ. ამ რამდენისამე წლის წინად ქრისტიან ინგილოებში ისეთი ბალღებიც იყო, რომ სამ-ოთხს წელიწადს გაუნათლავები იყვნენ. ყმაწვილს რომ მონათლავენ, ქრისტიანებრივ სახელს დაარქმევენ, მაგრამ შინაობაში, ხშირად, ნათლობის სახელს იეიწყებენ და თავის მიერ მოგონილს უწოდებენ ხოლმე, მაგალითად ქალებს: სარა, მანია, ჩიჩაქა, ჯავარა, ანახანუმა და სხ., ვაჟებს-კი: მუხტარა, არზულუმ, შაქარა, ყურა, ბაშირა და სხ. ფეხის ადგმა რომ გაუადვილდეს ბავშვს, სამფეხიან ურემს გაუკეთებენ. უკან ურემს ხელით დასაჭერი მოკაკული ხე აქვს გაკეთებული. ურემთან ბალღს დააყენებენ, ხეს დააჭერინებენ და ურემი ნელა რონინს დაიწყებს, ბავშვიც მისდევს და სიამოვნებით მიაგორებს. ამ საგორებელის შემწეობით, ბავშვი მალე ფეხს იდგამს.

შვიდი-რვა წლისა რომ შეიქმნება შვილი, დედ-მამას უკვე საკმაოდ ჰშველის. ჯერ ამ დრომდისაც ხუთი-ექვსი წლის ბავშვი კარგ „სავაზიროდ" ითვლება. სავაზირო ის არის, ვინც ნაბრძანებს ასრულებს. საზოგადოდ, სახლში სავაზირონი პატარეები, რძლები, უმცროსი ძმები არიან, დამვაზირებელი-კი დედ-მამაა, უფროსი ძმები. მკვირცხლი, მალხაზი და დედ-მამის საყვარელი ბავშვი იგი, რომელიც ნავაზირევს მსწრაფლ შეასრულებს. ამისთანა ბავშვს არც ცუდს სიტყვას ეტყვიან, არც აწყენინებენ. ხოლო «დავაზირებული» თუ ნავაზირებს ნელა, უნდომლად ასრულებს, ან სრულიად არ მიდის ნაბრძანების შესასრულებლად, დედისაგან მკვახე-მკვახე სიტყვებსა, წყევასა და ხშირად სილებსაც აიკიდებს ხოლმე. შვიდი-რვა წლის ვაჟს სწერთნის მამა, ქალს-კი — დედა. მამას შვილი ხშირად თან დაჰყავს ურემზედ, სხვა-და-სხვა სამუშაოზე, ან შინ ასწავლის სავაჭკაცო ხელობას. ბალღი ბავშვობიდგანვე ეჩვევა ურმის, აჩეჩის და სხ. გაკეთებას. ქალს-კი დედა ასწავლის ძაფის დართვას, წინდის ქსოვას, ნემსის ხმარებას და სხ. აქ, რასაკვირველია, მე იმას არ ვამბობ, რომ ვაჟი თუ ქალი შვიდი-რვა წლიდგან მოკიდებული განუწყვეტლივ სავაზიროს ასრულებას უნდებიან, ან სამუშაოზედ დადიან. არა, განუწყვეტლივ-კი არა, არამედ ხანდახან და ხშირად მაშინ, თუ ბავშვი თითონ მოწადინებულია მუშაობას. ბევრჯელ ყოფილა მაგალითი, რომ რვა-ცხრა წლის ბავშვი „ზროხის ნაბათზე" წასულა და ასიოდე საქონელი დილით საღამომდე უმწყსია. „ზროხის ნაბათი", ანუ ნობათი ყოველ მეკომურს დრო გამოშვებით შეხვდება ხოლმე. ისეთი სოფლები არის, რომ მენახირე-მეძროხე არა ჰყავს. ამ შემთხვევაში მთელის სოფლის, ან, თუ სოფელი დიდია, ერთის უბნის საქონელი ერთ ნახირად გადის საძოვარზე და ამ შემთხვევაში ნახირის მწყსვა მეკომურთა შორის ჯერობით არის ხოლმე. ამ ჯერობას „ზროხის ნაბათი" ჰქვიან. ძროხის ჯერს, თუ საქონელი ნახირში ბევრია, ორ-ორი მეკომური ჰხდილობს, ე. ი. ორის სახლიდგან თითო კაცი მიდის საქონლის სამწყსოდ, და თუ ნახირი მცირეა — თითო მეკომური. მენობათე მოვალეა ფხიზლად იყოს, ნახირს კარგად მოუაროს და დააძღოს, მაგრამ თუ საქონელი დაეკარგა, ან მოჰპარეს, მოვალე არ არის გადაიხადოს. „ზროხის ნაბათის" ხდილობის გარდა, ყრმას „ულაყებიც" (შესაბმელი საქონელი) აბარია, მამა რომ ურემს მინდვრიდგან მოიტანს, ან სახნავიდგან დაბრუნდება, მაშინ ყრმამ იგინი უნდა გალაღოს (გარეკოს) საძოვარზედ. მკასა, სახნავის ხვნასა და სხ. მძიმე საქმეს ვაჟს 13—15-ის წლიდგან დააწყებინებენ ხოლმე. ამ დროსვე ვაჟსაცა და ქალსაც დანიშნავენ. იშვიათად მოჰხდება, რომ ამაზედ მცირე წლოვანებში, ამ ხანზედ გადაცილებულები დანიშნონ. აქვანშივე დანიშნულთა რიცხვი ხომ თითო-ოროლა ძლივს მოიპოვება.

ათი-ხუთმეტის წლის წინად არც დასანიშნს ვაჟს და არც გასათხოვარს ქალს დანიშვნის შესახებ დედ-მამა არას ჰკითხავდა. დედ-მამა თავის შვილების საბედოს თვითონვე ირჩევდა. ვაჟ-ქალნი წინად, ხშირად, რამდენიმე ხნის განმავლობაში ვერც-კი იტყობდნენ თავის დანიშნულის ამბავს. ხოლო ეხლა და ეხლა დედ-მამანი ქალისა და ვაჟის უცნობლად აღარ ჰნიშნავენ თავის შვილებს. თუ შვილის ნება არ იქნება, დედ-მამა ვერც ქალს გაათხოვებს და ვერც ვაჟს დანიშნავს. თუმცა იმის მაგალითებიც არის, რომ დედ-მამა ისევ ძველებურს წესს მისდევს და თავის უფლებას არა ჰკარგავს.

ქალის გათხოვება და ვაჟის დანიშვნა მაჭეკლის (მაჭანკლის) საქმეა. უმაჭანკლოდ იშვიათად თუ საქმე გარიგდება. ქალის მაჭანკლობა ეკუთვნის ოჯახის სიძეს. ვაჟის მამა და დედა დასანიშნავ ქალის ოჯახის სიძეს წარგზავნიან ქალის დედ-მამასთან და ქალს სთხოვენ. თუ ვაჟის ოჯახი ღარიბი არ არის, საქმე მალე რიგდება, მაგრამ ისეთი შემთხვევაც არის, რომ მდიდარი მამა თავის ქალიშვილს ღარიბსაც მიათხოვებს ხოლმე. დანიშვნა ქალ-ვაჟისა დიდ ხარჯს არ ითხოვს. ვაჟის მამა ქალის მამას გაუგზავნის: ერთ მანათ ფულს, ერთ კელმანდილს, ხუთ ჩაფ ღვინოს, ერთ ყოჩს, ხილეულობას, ერთ „ყაბ ჰალვას" (ერთი ლანგარი ალვა). ხანდახან-კი დანიშვნა მარტო ხელსახოცითა და ერთი მანათით თავდება. დანიშვნა თუმცა ბევრ ხარჯს არ მოითხოვს, მაგრამ ამ დანიშვნას სხვა ხარჯები მოსდევს საქრმოს მამის მხრივ. საქართველოს სხვა კუთხეებში ყველგან ქალის ოჯახს მოელის დიდი ხარჯი, ხოლო აქ-კი ვაჟისას. ყოველი მზითევი ქალისა, ქრთამი (ფულად) და წვრილმანი ხარჯი ვაჟის მამამ უნდა გადაიხადოს და არა ქალისამ. ეს ხარჯი ანუ ხარჯები აქვე ჩამოთვლილი მაქვს და, როგორც მკითხველი დაინახავს, ფრიად საგრძნობელია და მძიმე გლეხისათვის.

დანიშვნას ნიშანი მოსდევს. ნიშნისათვის საქმროს მამამ უნდა დაამზადოს: ერთი კელმანდილი (ღირს 1—2—3 მანათი), ბეჭედი (ღირს 1—2 მან.), 25 ნაზუქი (ღირს 5—6 მან.), 25 შოთი (2—3 მან.), 1 ყოჩი (2—3 მან.), 2 მან. ფული, 20 კვერცხი წითლად შეღებილი (ორი შაური), 1 ხურჯინი ვაშლი (1—2 აბაზი), 1 ბაკანი წაბლი (1 აბაზი), 1 ბაკანი (პინა) თხილი (20—30 კაპეიკი), 1 თავტა (2—3 მან.). ვაჟის ნათესავებისაგან დანიშნულის წილი: 20—50 კაპეიკამდე ფული. ყოველსავე ამ სამზადისს ვაჟის მამა ქალის მამისას მაჭანკალს წარატანს. იქ ქალის მამა

*) იხ. „ივერია" № 191.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში შეუდგება სოფელ საღოლაშნის მამულების გამიჯვნას

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსს პალლადის საინგილოს ბლაღოჩინი სვ. ლიაძე გადუყვანია ქართლის მღვდლის ადგილას და საინგილოში-კი ბლაღოჩინად გაუმწესებია ბლაღოჩინი-მღვდელი დავით ბარნაბიშვილი, ორივე სამის ენკენისთვიდამ.

*** ტფილისის ხმოსანს, ბ-ნს კალოუბნელს, განზრახვა აქვს წარუდგინოს ქალაქის საბჭოს წინადადება იმაზე, რომ შემოღებულ იქმნას სადგომის გადასახადი, რომელიც, ბ-ნის ხმოსნის აზრით, ქალაქმა უნდა მოიხმაროს განათებისათვის, ქუჩების რიგიანად მოსაწყობად და სხვ.

*** თელავი: დეპეშით სწერენ გაზეთ „კავკაზს“, რომ ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ახალგაზდა თავ. ი. ჭავჭავაძისა, რომელსაც აფიცრის მორთულაძის მოკვლა ბრალდებოდა, და დამნაშავეს გადუწყვიტა სამის წლით დამწყვდევა ციხეში, ღირსება-უფლების აუყრელად.

*** გორიდგან გვატყობინებენ, რომ იქ 10 ამ თთვისას ქალაქის თავის არჩევანი ყოფილა. ქალაქის თავად აურჩევიათ გენერალ-მაიორი ი. ევახრამოვი, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად ფოთში მსახურებდა ამავე თანამდებობაზე. ქალაქს ახალის თავისათვის ორი ათასი მანეთი ჯამაგირი დაუნიშნავს წლიურად.

*** 11 სექტემბერს, მეათე განყოფილებაში, მიხეილის ქუჩაზე, პოლკოვნიკ დოლუხანოვის სახლს წინ მიუგდიათ ბავშვი, რომელიც ოთხის თთვისა უნდა იყოს. ბავშვი გაგზავნეს საბებიო ინსტიტუტში.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ახალქალაქი, 3 ენკენისთვეს. ახალქალაქმა იდღესასწაულა ადგილობრივ პირველ დაწყებითი ორ-კლასიანის სასწავლებლის გადაკეთება სამოქალაქო ოთხკლასიან სასწავლებლად. ორი-სამის დღის წინად შეუდგნენ, ვისიც ჯერ იყო, ამ საქმის თადარიგს: მრავალ-ფეროვან ბაირაღებით მორთეს სასწავლებლის შენობა, მოიწვიეს ამ დღისათვის როგორც სამხედრო, აგრეთვე სამოქალაქო წარმომადგენლები სასწავლებელში, სადაც მომზადებული და აყვავებული იყო სუფრა სხვა-და-სხვა სასმელ-საჭმელით და საუზმით. სრული თორმეტი საათი იყო, როდესაც სასწავლებელში შეიკრიბა მრავალი ხალხი, ასე რომ ტევა აღარ იყო. პარაკლისის გალობა სთქვეს ამავე სასწავლებლის შეგირდებმა. შემდეგ პარაკლისისა ბ-ნმა როსტომაშვილმა წარმოსთქვა კრცელი სიტყვა. ორატორმა მიჰმართა ჯერ მასწავლებლებს და განმარტა, რა მოვალეობაა მათი მოვალეობა და რა გზას უნდა ადგნენ, რომ მათმა შრომამ ნაყოფი მოიტანოს. მერე მიჰმართა თვით უმაწვილებს და აუხსნა, როგორ უნდა მოიქცნენ, რომ კეთილი კაცები გამოვიდნენ. შემდეგ მიჰმართა თავისი სიტყვა შეგირდების მშობლებსა და ახალქალაქის მოწინავე და მეთაურს ხალხს და სთხოვა დახმარება და შემწეობა. სხვათა შორის მაქცია მათი ყურადღება საშუალების უქონლობას შესაფერის წიგნთ-საწყობის გასამართავად უმაწვილებისათვის.

სხვათა შორის ამ დღეს შესანიშნავი და დაუვიწყარი ღვაწლი დასდო სასწავლებელს მოწვეულმა ხალხმა. სიტყვამ და სკოლისადმი თანაგრძნობამ გასჭრა. შეიტყეს თუ არა, რომ სასწავლებელი მოკლებულია ნივთიერს ღონესაო, იქონიოს პირველ შემთხვევაში შესაფერი წიგნთ საცავი შეგირდებისათვის, ყველამ, დიდმა თუ პატარამ, მდიდარმა თუ ღარიბმა, დაუზოგავად მოისვეს ხელი ჯიბეზე და თითქმის ას მანეთამდე ფული შეაგროვეს და ჩააბარეს ბ-ნს როსტომაშვილს.

სწავლის გარეთ წიგნების კითხვას დღეიდგან მიქცეული აქვს განსაკუთრებითი ყურადღება, ე. ი. საყმაწვილო წიგნები დაყოფილი იქნება შინაარსის სიძნელის დაკვალად კლასებზედ და ხელმძღვანელობა საქმისა ექმნება კლასისავე მასწავლებელს... შესამოწმებლად წაკითხულისა თითოეულს კლასში დანიშნულია კვირაში თითო საათი. ამ ჟამად სასწავლებელში ირიცხება 180 მეტი მოსწავლე, იმათ შორის 30 ქართველია.

სამინისტროს ახალი განკარგულებაც ამ სასწავლებელში უკვე განხორციელდა: გიმნასტიკის მასწავლებლად მოწვეულია სამხედრო კაცი, რომელიც შეუდგა კიდეც თავისს საქმეს და რიგიანადაც მიჰყავს. გარდა ამისა მოსწავლენი მეხუთე თავისუფალ გაკვეთილის დროს ერთგულად მუშაობენ სკოლის ეზოში და ბაღს აშენებენ, ასე რომ ამ სასწავლებელში გონებრივი და ფიზიკური ვარჯიშობა თანასწორად არის მოთავსებული. ამ უკანასკნელს საქმეს დიდი მნიშვნელობა აქვს მაზრისთვის, სადაც ტყე სრულიად არ მოიპოვება. მოხუცებულები ამბობენ, რომ ძველად აქ დიდი ტყეები იყოვო. სასწავლებელში დარგული იქნება ცივის ქვეყნის ჯავის ამტანი სხვა-და-სხვა ხე. ღმერთმა ხელი მოუმართოს ამ საქმეს!

საღამოზედ, მაზრის უფროსის განკარგულებით, მთლად სასწავლებლის შენობა და იმისი გალავანი გაჩირაღდნებული იყო.

ი. ჩ.

## უცხოეთი

გერმანია. ახალი არჩევანები გერმანიაში ჯერ გვიან დაიწყება, თითქმის ნახევარ წლის შემდეგ, ესე იგი, მერმის თებერვალში, მაგრამ საარჩევანო მზადება ეხლა დაიწყეს. უფრო მხნედ ემზადებიან საარჩევანოდ ლიბერალები, ანუ, უკეთ ვსთქვათ, თავისუფალ მოაზრეთა დასი. ეს დასი საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ უკანასკნელს არჩევანებზე ძალიან დამარცხდა და დღეს მეტად მისუსტებულია. მაგრამ ან კი რა უნდა ჰქმნას ამ დასმა, როდესაც გერმანიის საპარლამენტო წეს-წყობილება ისეთის თვისებისაა, რომ, რაც უნდა ძლიერი იყოს დასი, მაინც ბევრს ვერას მოახერხებს. ეს თვისება ის არის, რომ სამინისტროები პასუხს არ აგებენ პარლამენტის წინაშე. რაც უნდა გაამაოს რომელმამე დასმა რომელიმე სამინისტრო, ანუ მთლად კაბინეტი, მაინც იგი სამინისტრო და იგი კაბინეტი უცვლელად რჩება. მეორე მიზეზი მთავრობის მოწინააღმდეგე დასთა სისუსტისა ისიც არის, რომ ამ დასებს მტკიცედ შემუშავებული წესი და რიგი არა აქვთ საბრძოლველად. მეთაურები და ორატორებიც ვერ ვარგანან. ეს მეთაურები და ორატორები, კერძოდ რომ აიღოთ, იქნება ძრიელ ნიჭიერნიც არიან, მაგრამ იმდენი მოხერხება-კი არა აქვთ, რომ კარგად დააწყონ თავიანთის დასის რაზმები თავ-გამოდებულის ბრძოლისათვის. თუ ვარგა ამ მხრივ, ისევ შუაგულის დასის მეთაური ვარგა, სახელდობრ ვინდგორსტი, მაგრამ იმანაც ბევრჯელ წაავო საქმე დაუდევრობით. თავისუფალ მოაზრეთა მეთაური ევგენი რიხტერი მეტად ნიჭიერი ორატორია, მაგრამ დასის უფროს გამგებლად-კი ძალიან ნაკლებად გამოსადეგი, პუბლიცისტობასა და მწერლობაში-კი შუათანა ნიჭის კაცია. მეორე შესანიშნავი წარმომადგენელი ამ დასისა არის ბამბერგერი, კაცი დიდად მცოდნე და ნასწავლი, ოდესმე დიდის სახელის მომხვეჭელი, ხოლო ამ კაცს დღევანდელი საჭიროებანი ძალიან ნაკლებად ეყურება. მესამე ალექსანდრე მეიერი, მაგრამ ეს მოღვაწე უფრო ოხუნჯობაში ვარჯიშობს და ამ ვარჯიშობით არც ერთს დასს არას აწყენინებს ხოლმე.

სოციალ-დემოკრატების საქმე ხომ სულ წასულია. იმათ საარჩევანოდ მზადებაც-კი მეტად უძნელდებათ. უძნელდებათ იმიტომ-კი არა, რომ უვარგისს გზას ადგნენ და თანაგრძნობას ვერა ჰპოულობდნენ, არამედ იმიტომ რომ თვით მთავრობა უშლის ხელს და ათას გვარს დაბრკოლებას აძლევს. სოციალ-დემოკრატები, ასე გასინჯეთ, თავისუფლად შეკრების ღონისძიებასაც-კი არიან მოკლებულნი. ზოგან დარბაზსაც არავინ აძლევს კრების გასამართავად მთავრობის რიდითა და ხათრით.

მთავრობა, რასაკვირველია, იმედიანად არის, რაკი მისი მოწინააღმდეგე დასნი ასე სუსტობენ. მთავრობას-კი დიდი უმეტესობა უდგას მხარში და ამ უმეტესობის იმედით ეპირება შეაწყნარებინოს პარლამენტს სამერმისო სესიაში სხვა-და-სხვა ახალი კანონ პროექტი მხედრობის გაძლიერებისა და ახალ-ახალის ხარჯების გადიდების თაობაზე.

ამბობენ, რომ შემდგარია კიდეც გეგმა, როგორც უნდა ხელ-ახლად მოეწყოს ჯარი და მხედრობაო, მაგრამ ამ გეგმის შინაარსი-კი ჯერ არავინ არ იცისო. ჯარისა და მხედრობის ხელ-ახლად მოწყობას დიდ-ძალი ფული დასჭირდება და იმიტომ ფიქრობენ, რომ საფრანგეთში მეტად კარგად მოაწყეს ფრანგებმა თავისი მხედრობაო.

საფრანგეთი. მართლა რა სანაქებოდაცა აქვთ მოწყობილი საფრანგეთში ჯარისა და მხედრობის საქმე, ესა ჩანს სხვათა შორის მელინის სიტყვიდამაც, რომელიც ორატორს ამ დღეებში წარმოუთქვამს ამომრჩეველთა წინაშე. მოვიყვანთ ზოგიერთს ადგილებს ამ სიტყვისას: „ვისაც უნდა განსაჯოს რესპუბლიკის საქმეო, — სთქვა ორატორმა: — უნდა მთლიანად წარმოიდგინოს და თვალ-წინ გაიტა-

---

მიიწვევს თავის ახლო ნათესავებს და კარგ დროს გაატარებენ, იმ ხურჯინში, რომლითაც მაჭანკალმა ნიშნის ხორაგეული წაიღო, დაბრუნებისას საქმროს ყველა სახლისწულთათვის და ახლო ნათესავებისათვის დანიშნულ ქალმა თითო წყვილი მატყლის წინდა უნდა ჩააწყოს და საქმროსას წარმოუგზავნოს. ამით თავდება პირველი ნიშანი, რომელიც, უკანასკნელი რომ ვსთქვათ, ღირს 25—30 მან. ამ პატარა ნიშნობას, რამდენისამე თთვის ან წლის შემდეგ, დიდი ნიშნობა მოსდევს.

სადიდ-ნიშნოდ ქალის მამისას ვაჟის მამა წარგზავნის: ორ ყაბ ალვას, 2 ყოჩს, 20 ჩაფ ღვინოს, 50 ნაზუქს, 50 შოთს, ხურჯინ ვაშლს, 1 ბაკან წაბლსა და თხილს, 50 კვერცხს, 2 მან. ფულს, 1 თავტას, 1 ქუნას (კისია), 1 თავ შაქარს, ცოტაოდენ კამფეტს და აგრეთვე ნათესავებისაგან ქალს საჩუქრად მისდის: ვისგან აბაზი, ვისგან ექვსი შაური, ვისგან ორი აბაზი და სხვ. დანიშნული ქალი-კი იმავე ნიშნის ხურჯინში ჩააწყობს და გამოუგზავნის: საქმროს წინდებსა და ქალამნის შესაკრავ ბაღებს (ბაწრებს), აგრეთვე თითო წყვილ წინდას ან ბაღებს საქმროს სახლი-კაცებისთვის. დიდი ნიშანი, ფულად რომ ჩავაგდოთ, უკანასკნელი ეღირება 50—60 მან. სამწუხაროდ, ხარჯი ამით არა თავდება. დიდ ნიშნის შემდეგ, ქორწილის წინა დღეებში, საქმროს მამეული ქალის მამას კიდევ უგზავნის ფარჩის ნიშანს.

ფარჩის ნიშანში იმის გარდა, რაც ჩამოთვლილია დიდ-ნიშანში, კიდევ იგზავნება: ჩარღათი, კელმანდილი, 7 ქუნაჲ (კისია), 5 ნაჭერი ფარჩაჲ*), ერთი წყვილი ბაშმაყი (მაღალ ქუსლიანი ქოშები), ვერცხლის ქამარი, ჩაფრასტი, ღილები, ილგა. ყველა ამ ნივთებით დანიშნულს საცმელი და ტანისამოსი უნდა მოუმზადონ. ამას გარდა იმავე ფარჩის-ნიშანის ნაწილს ჩაჰბაკანიც შეადგენს. ჩაჰბაკანია: 25 ბაკანი (პინა) ხორბალი, 1 მსუქანი ხარი ან ფური, 25 ჩაფი ღვინო. ჩაჰბაკანით ქალის მამა თავის ქალს გათხოვების დღეს მსუბუქ ქორწილს გადუხდის.

აქედგან ვხედავთ, რომ საინგილოში დიდს გაჭირებაშია მარტო ვაჟის მამა; ქალის მამა, პირ-იქით, სრულიად უზრუნველ-ყოფილია: იგი არა თუ ქალისთვის მზითვისა და ქრთამის შესაძენად ჩალიშობს, არამედ ყოველივეს საქმროსაგან მოელის, თავის ქალის საქორწილო ხარჯსაც-კი.

ზემოთ „ნიშნობის“ აღწერის დროს ჩვენ არ დავასახელეთ კიდევ მატყლისა და ყაჭის ძაფი, რომელიც დრო-გამოშვებით ეგზავნება დანიშნულს თავისთვის ჯეჯიმებისა, საბნებისა, წინდებისა, ტოლალებისა, აბგებისა, ყოლანებისა (ცხენის გარ-საკრავი) და სხ. დასაქსოვად, ანუ დასაწნავად ქალამნის ბაღებისა, მარაზისა (გრძელი და ფოჩებიანი თოკი, რომელსაც სახლში გააბმენ ხოლმე და ზედ ზოგი აბგებს ჰკიდებს, ზოგი რასა და ზოგი რას.) და სხ. ქალს დანიშნვის დღიდგან ყოველ წლივ ეგზავნება ხვედრი წილი: ყაჭი, ღომფალი, ხაიათი. ამ აბრეშუმეულის ძაფიდამ ქალი იქსოვს ვერლნებს (საბნებს), აბგებს, ქმრისთვის ჰქსოვს ტოლალებს, ჯეჯიმებს, მარაზს და სხ.

რა-კი სიტყვამ მოიტანა, ურიგო არ იქნება ცოტა ხანს შევჩერდეთ და ავწეროთ ზოგიერთი დასახელებული საგანთაგანი, მაგალითად, დანიშნულისათვის წარგზავნილი ქამარი, ჯეჯიმების სახეები, მათი ქსოვა, ნაზუქის ცხობა, ალვა და სხ. და სხ.

ქალის ქამარი ფრიად განიერია, თითქმის ორის გოჯის სიგანისა. ქამარს კარგად მოქნილ ტყავისას აკეთებენ. ტყავს ზემო პირზე ორ რიგად ვერცხლის აბაზიანებსა და ვერცხლისავე დუგმებს უკეთებენ. ხანდახან აბაზიანების მაგიერ ხუთშაურიანებს ურიგებენ, უწინ-კი ქართულს ფულს ჰხმარობდნენ თურმე. ქამრის ბოლოებზე ხელის გულის სიგანე და სიმსხო ვერცხლისავე ყაშებს (შესაკრავებს) აკეთებენ. მდიდარი კაცი თავის რძლის ქამრის ყაშებს ოქროთი აფერინებს. ასეთი ქამარი ადგილობრივ ფასობს 15 მან. მოკიდებული ვიდრე 60—80 მანეთამდე. ქალს ქამრის გარდა ეგზავნება კიდევ ღილები, ილგა, ქინქირი (ძეწკვი), თუნგები, ჩაფრასტი, ყოჩ ბოჟნუზი. ყველა ამ ვერცხლეულს აკეთებს ზარგარი (ოქრომჭედელი). ოქრომჭედლებად ლეკები არიან. თუ საჭირო ნივთები ბაზარში ვერ იშოვა საქმროს მამამ, მიიწვევს თავისას ზარგარს, გააკეთებინებს ყველაფერს და ქალს გაუგზავნის. ამ დროს, ვისაც შეძლება აქვს, ვაჟსაც გაუკეთებინებს აშურმას (ვერცხლის ქამარს). თუ როგორ ხმარობენ ამ ნივთებს, ამას ქვემოდ ვიტყვით, როდესაც დედაკაცისა და მამაკაცის ტანისამოსზედ ჩამოვაგდებთ საუბარს.

ნაზუქებისთვის მაგარ ცომს მოჰზელენ. ბლომა ერბოში ხახვს მოჰხრაკავენ, მერე ცომს დააგუნდავებენ, კვეც-კვეცად დააპტყელებენ და ყოველ კვეცს მოხრაკულ ხახვიან ერბოს ბლომად წაუსმენ. შემდეგ მრავალ კვეცებით შემდგარ გუნდას ასტამით დააპტყელებენ და თონეში ჩააკვრენ. ნაზუქი თონეში დაიბრაწება და მშვენიერ სუნს აუშვებს ხოლმე. საჭმელად ფრიად გემრიელია, ნოყიერი და კაცს გულს მალე უსუყებს. შოთებს ისევე აცხობენ, როგორც ყველგან საქართველოში. ამას გარდა აქ აცხობენ აგრეთვე თეთრსა და წითელ (კვერცხის გულ-წასმულ) ლავაშებს.

ალვა დაფქვილ ბრინჯისა იციან. ბრინჯს ფეხის დინგში (სანაყავში) დანაყავენ, მერე სუფთად გაცრეცხავენ, თიანში ჩაჰყრიან, თაფლსაც ჩაასხმენ და მოშუშვენ, მერე ერბოსაც დაასხმენ, ისე რომ მოშუშული ბრინჯი გასქელდება, შემდეგ თიანს გადმოიღებენ და ალვა მზად არის. დამზადებულ ალვას ლანგრებსა და სინებზე გადიღებენ, ზემოდგან დასტკეპნიან, რომ სახე მიეცეს. ერთ სინს ანუ ერთ ლანგარ ალვას „ყაბი ალვა“ ჰქვიან.

ჯეჯიმებსა და ყაჭ-ღომფალ ძაფს ჯარაზედა (ჩვენებურად ჯაჭრაჲ) და თითის-ტარზედ ართვენ (ასტვენ) ჯერ მატყლს საჩეჩელზე დასჩეჩენ, დაჩეჩილს მატყლს ფაროებად დააწყობენ, მერე ამ ფაროებს ჯარაზედ, ანუ ტარზედ დაართვენ, დართულ ძაფს ორ-სამ-ოთხ წვერად (ტოტად) ჯარაზედვე დაჰძახავენ, მერე დაჰხვეწენ, დაჰკიფავენ, შეჰღებვენ და ძაფი საქსოვად დამზადდება.

ძაფს თითონვე ღებვენ წითლად, მწვანედ, ყვითლად, შავად, ცის-ფერად და იისფერად.

წითლად ღებვა ძაფისა: ბლომა შინდს მოჰხარშავ და იმ წონის შაბსაც დაატან შინდს, რა წონისაც არის ძაფი. მერე ქვაბში ძაფს ჩაჰყრი და ბლომად ადუღებ. ძაფს ისევ ამოიღებ,

*) ფარჩას ინგილოები საერთოდ ჩითეულსა და ფარჩეულს უწოდებენ.

როს ჩვენი ბედი იმ დღიდამ, რომელიც მოჰყვა ჩვენს ტანჯვა-მწუხარებს. ამას ხშირად ივიწყებენ და ზოგნი კიდეც იმიტომ სულ სხვა ნაირად ფიქრობენ საფრანგეთის დღევანდელ ვითარების შესახებ. ჩვენ გვეუბნებიან, რომ შვილნი საფრანგეთის მდიდარის ხალხისა რეაქციონერები შეიქმნენო. იქნება ეს მართალიც არის. მართლაც ზოგს დეპარტამენტში რეაქციის დროშა აღუმართავთ ყმაწვილ-კაცებს, ახალგაზდებს, და ისე მოსწონთ თავი რეაქციონერობით, როგორც იმათ ხანში ჩვენ მოგვწონდა თავი მით, რომ ხელში გვეპყრა დროშა თავისუფლებისა. უნდა ვაპატიოთ: ისინი ყმაწვილები არიან, ახალგაზდანი და ჩვენსავით აღარ ახსოვთ 1870 წლის საფრანგეთი. აღარც ის იციან, რა ყოფაში იყო ჩვენი ქვეყანა მაშინ, როცა იმპერიამ იგი რესპუბლიკას გადასცა. მაშინ საფრანგეთს არა ჰყვანდა არც ჯარი, არა ჰქონდა არც სამხედრო სამზადისი, არც ფული და ეკონომიურად ხომ სრულიად მოუწყობელი იყო. ყოველივე ახლად დასაწყობი და გასაკეთებელი შეიქმნა. ამ დაწყებასა და გაკეთებას მარტო რესპუბლიკა თუ შეიძლებდა, იმიტომრომ მარტო რესპუბლიკას თანაუგრძნობდა მთელი ერი. ამ ერის შემწეობით 18 წლის განმავლობაში რესპუბლიკამ გააჩინა მართლა ისეთი ჯარი და მხედრობა, რომელიც თითქმის პირველია მთელს ევროპაში, რომლითაც შეგვიძლიან თავი მოვიწონოთ და ყველამ დამშვიდებულის გულით ვიშრომოთ და ვიწალმართოთ, რაკი დარწმუნებულნი ვართ, რომ ძალა გვაქვს და ჩვენს დამოუკიდებლობას ადვილად ვერავინ წაეტანება. უნდა ვსთქვათ უკანასკნელის პალატის სასახელოდ, რომ იმან დიდის მხნეობითა და გულ-მოდგინეობით შეავსო და დაამთავრა საქმე წინანდელის პალატებისა. მან განავრცელა და სრულ ჰყო ფრიად რთული კანონი ახალ ჯარის კაცთა მოკრეფისა, დააწესა სამის წლის სამსახური ჯარში და საყოველთაოდ გაჰხადა ბეგარა სისხლისა ამ უდიდესს კანონს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ბევრი სხვა ფრიად საყურადღებო კანონიც იქმნა შემოღებული ჯარის მოწყობისა და შეთოფ-იარაღების შესახებ. ჩვენებური შეთოფ-იარაღება საუკეთესოდ არის ცნობილი მთელს ევროპაში. მაგრამ საკმაო არ იყო მარტო მხედრობის მოწყობა და განკეთილება. რესპუბლიკას სხვა ვალიც ჰქონდა დემოკრატიისა ეს ის ვალი იყო, რომ გაენათლებინა ქვეყანა, გაევრცელებინა სწავლა და მეცნიერება. ამ საქმეშიაც ძველმა წეს-წყობილებამ ბევრი რამ დასტოვა გასაკეთებელი. ერთმა მინისტრმა რესპუბლიკისამ (ჟიულ ფერი იყო ეს მინისტრი) მიაქცია ქვეყნის ყურადღება ამ საგანს. იმან შესძრა მთელი საფრანგეთი და მოსდო ქვეყანას სამწუხარო ამბავი, რომ სკოლების შენობანი სრულიად უვარგისიაო. საჭირო იყო აშენება და გადაკეთება 34,000 სკოლის შენობისა. რესპუბლიკა მხნედ შეუდგა საქმეს და დღეს ჩვენა გვაქვს 27,000 მოხერხებული სკოლა ერთის მილიონის ყმაწვილებისათვის, რომელნიც 20 წლის წინად მოკლებულნი იყვნენ სწავლას. ნაპოლეონის დროინდელმა წეს-წყობილებამ არამც თუ ყური არ ათხოვა დიდს საქმეს ერის განათლებისას, ჩვენი ეკონომიური ყოფა-ცხოვრებაც ფრიად დიდს გაჭირებაში ჩააგდო. ნაპოლეონის დრო ერთ თავად ომებს მისდევდა, ამ ომებმა გააღარიბა ქვეყანა და მათის წყალობით შემოგვეფანტა ყველა მომხრე და მოკავშირე ევროპაში. რაიცა შეეხება რკინის გზებსა, არხებსა და პორტებს, ამ მხრივაც ჩვენ ბევრად დაბლა ვიდექით ჩვენს მეზობლებზედაცა და საშიშარს მეტოქეებზედაც. ეხლა-კი, მადლობა ღმერთს, ჩვენ კვლავ დავიჭირეთ ის ადგილი, რაც გვეკუთვნის, 18 წლის განმავლობაში გავაკეთეთ 17,000 კილომეტრ მანძილის რკინის გზა, სულ-კი საფრანგეთში 34,000 კილომეტრ მანძილის რკინის გზაა. მაშასადამე, რესპუბლიკამ ნახევარი გააკეთა იმისი, რაც საფრანგეთში რკინის გზებია. არხები გავჭერით 2,000 კილომეტრ მანძილზედ, გავასანაოსნეთ მდინარენი 300 კილომეტრ მანძილზედ. ამას გარდა გავაფართოვეთ ნავთ-სადგურები და პორტები. დასასრულ, ჩვენ გავიყვანეთ 150,000 კილომეტრ მანძილის სასოფლო გზები, 1869 წელს-კი იყო სულ 253,000 მანძილისა. მაშასადამე, რესპუბლიკას ნახევარზედ უფრო მეტი სასოფლო გზა გაუკეთებია და გაუყვანია, ვიდრე ყველა სხვა მთავრობას, ოდესმე არსებულს საფრანგეთში. ნუ თუ ახლა ამ დიდს საქმეს არავითარი სარგებლობა არ მოუტანია ჩვენში ხვნა-თესვისა და მრეწველობის საქმისათვის? განა ამ საქმემ არ მისცა სიმტკიცე და ძალა შრომასა და მხნეობაში ერს ჟამსა გაჭირებისასა? ვინ იტყვის ამის უარს დღეს, რაკი ჰნახავს მარსის მინდორს, ამ სასწაულთ-მოქმედებას საფრანგეთის გენიოსობისას, რომელიც აოცებს და აკვირვებს მთელს ქვეყნიერობას? ვინ გაჰბედავს და იტყვის, რომ ერი, რომელმაც ყოველივე ეს შეჰქმნა და მოახერხა, გაღარიბებულია და დაცემულიო? და ყოველ ამის შემდეგ განა არა გვაქვს ნება მოვახსენოთ იმ დასს, რომელიც დღეს წამოყელყელავებულა: „აი, აილეთ და შეუდარეთ ერთმანეთს დღევანდელი საფრანგეთი, რომელსაც ჩვენ გიბრუნებთ თქვენ, და ის საფრანგეთი, რომელიც თქვენ გადმოგვეცით ჩვენ“.

## წვრილი ამბები

ლონდონში არა სცხრება კიდევ ის გამფათრავი ჟაკი, რომელიც დედაკაცებსა ჰკლავს და ჰქამდე-კი, ვერ იქნა, ვერაფრით ვერ დაიჭირეს. იმის გამოისობით ერთი პოლიციის უფროსი თანამდებობიდგან გადადგა, მეორე დანიშნეს იმის მაგიერ, მაგრამ საქმეს-კი მაინც არა ეშველა-რა. გაზ. „Times“-ს შემდეგი ნუსხა მოჰყავს ამ ჟაკის მსხვერპლთა: პირველ დეკემბერს 1887 წლისას ვიღაც უცნობი ქალი იპოვნეს უაიტჩაპელში, ასპორნისა და ვენტვორტის ქუჩაზედ მოკლული; შვიდს აგვისტოს 1888 წლისას იქვე მოჰკლეს მართა ტერნერი, ოც-და-ცხრამეტად დაჭრილი და დაკუწული ხანჯლით; აგვისტოს დამლევს—მარია-ანნა ნიკოლსი, მოკლული და დასახიჩრებული; რვა სექტემბერს—მარია ანნა ჩაპმანი, იქვე მოკლული და დასახიჩრებული; ოც-და-ათ სექტემბერს იქვე იპოვნეს ყელ-გამოღადრული ელისაბედ სტრიდი; იმავ დღეს ოლდგეტში ეგდო დასახიჩრებული და მოკლული მისს ედდოვსი; ცხრა ნოემბერს სპიტალფილდს მოკლულ იქმნა მარია კელლი; ჩვიდმეტს ივლისს 1889 წლისას უაიტჩაპელშივე მოკლული და დასახიჩრებული ჰნახეს ალისა მ'კენზი და, დასასრულ, მეცხრედ კიდევ ამას წინად მოჰხვდეს გვამი ერთის მოკლულის დედაკაცისა.

— მაინის ფრანკფურტში ამ სექტემბრის 21, 22 და 23-ს შესდგება თურმე კრება გერმანელ ლიტერატორთა. ამ კრების თავმჯდომარედ ამორჩეულია რობერტ შვეიგელი.

— ბაზელში უკვე დაუწყია მოქმედება ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესს. ამ კონგრესზედ რუსეთის მხრით წარმომადგენლად არის თურმე მისული პროფესორი თარხნიშვილი.

— სიმდიდრე ყოველთვის ბედნიერება არ არის ადამიანისთვის. ამას აშკარად ამტკიცებს მაგალითი ამერიკელ შეძლებულის კაცის ჯეი გულდისა, რომელსაც 200.000,000 მანათი სიმდიდრე აქვს შეძენილი. ეს კაცი ამას წინად სარტოგაში ყოფილა და მარტო-კი არასოდეს უნახავთ. ყველგან თან რამდენიმე კაცი დასდევდა თურმე. ქალიშვილი, ნელლი, მამას მიჰყვანდა ხელ-გაყრილი, შვილი გიორგი-კი გვერდში ჰყვანდა ამომდგარი. უმეტესად ჯეს ოთხი კაცი დაჰყვება თან და აგენტი საიდუმლო პოლიციისა ხომ შორი-ახლოდგან ადევნებს თვალ-ყურს და იფარავს. სახეზედვე ეტყობა თურმე ამ ამერიკელს კრეზს, რომ თავისის მეტის-მეტის შეძლებით მაინანაც არ არის გაბედნიერებული და ხალხს უფრთხის და ერიდება.

— ედისონი პარიჟიდგან ბერლინში წავიდა, იქიდგან ინგლისში აპირებს წასვლას და შემდეგ-კი ისევ ამერიკაში დაბრუნდება. გერმანიაში მისვლისთანავე ედისონს უსარგებლნია დროთი და რამდენისამე ჟურნალისტისთვის, მეცნიერისა და ელექტრო-ტეხნიკოსისთვის უჩვენებია თავისი ფონოგრაფი. მიწვეულთა თავი მოუყრიათ მარკგრაფენშტრასეს ქუჩაზედ, სიმენსისა და გალსკეს ფირმის სახლში. ფონოგრაფი ხალხისთვის უჩვენებია ედისონის წარმომადგენელს ვანგემანს. ვანგემანს უთქვამს, რომ აბა ყური დაუგდეთ იმ გერმანულს მუსიკას, რომელიც იმპერატორ ფრანც-იოსების გვარდიის გრენადერის პოლკის ორკესტრმა დაუკრა და რომელსაც ეხლა ფონოგრაფი გაიმეორებსო. დაუგდიათ და მართლაც დიდს აღტაცებაში მოსულან. ფონოგრაფს ამ მუსიკის გამეორება 15,000-ჯერ შეუძლიან თურმე. შემდეგ ვერნერ სიმენსს უამბნია ინგლისურს ენაზედ ედისონისთვის ამბავი თავის მიერ ახლად გამოგონილ იარაღისა, რომლითაც ადვილად შეიძლება თურმე შეიტყოს ადამიანმა რამდენია ელექტრონი რასმეზედ დახარჯული. ამ ნაამბობისთვის ფონოგრაფს მოუკრავს ყური და სიტყვა-სიტყვით გაუმეორებია. პროფესორს დიუბუა-რაიმონს ისე გაოცებია ეს გარემოება, რომ რამდენჯერმე უთქვამს: „საკვირველია, საოცარიაო!“ ფონოგრაფის გასინჯვის შემდეგ ედისონის პატივსაცემლად საუზმე გაუმართავთ. საღამოზედ ედისონს ვერნერ სიმენსითურთ გაუსინჯავს ბერლინის საელექტრონო სადგური და შემდეგ გამოფენა იმ

---

მზეზედ დაჰფენავ, გააშრობ, შემდეგ იმავე ქვაბში ბლომა ენდროსაც დაუმატებ და წყალში გარეცხილ ძაფს ისევ ქვაბში ჩააგდებ, ადუღებ შვიდი-რვა საათის განმავლობამდე. შემდეგ ქვაბს გადმოიღებ, ძაფს ამოიღებ, გააშრობ და გარეცხავ, მერე ქვაბში ძროხის შარდს *) ჩაასხამ და იმაში ძაფს დაჰტიტბავ (ჩაჰყრი და აადუღებ) ქვაბი რომ წამოდუღდება, ძაფს ამოიღებ, გარეცხავ, გააშრობ. ძაფი მზად არის.

მწვანედ: მოიღებ „სამწონე ბალახს“. (ქართულად რა ჰქვიან, არ ვიცი. ამ ბალახის სახელი არც რ. ერისთავის საბოტანიკო ლექსიკონშია მოხსენებული და არც ქართულ სხვა ლექსიკონებში). სამწონეს ჩაჰყრი ქვაბში და ადუღებ. ჩაჰყრი აგრეთვე ძაფსაც. მთელი დღე უნდა იდუღოს. მეორე დღეს ქვაბიდგან ამოიღებ და ძროხის აუდუღარს შარდში ამოავლებ, მერე გაფოთლილ ანწლს გაჰშლი, შიგ ძაფს ჩააწყობ და ზემოდგანაც ბლომადვე ანწლს დააყრი. ასე უნდა მოიქცე სამის დღის განმავლობაში, ისე-კი, რომ ყოველ დღე ახალ-ახალი შარდი და ანწლი უნდა იყოს.

ყვითლად: თრიმლის ღეროებს იმდენად გასთლი, რომ მარტო ყვითელი გული-ღა დარჩეს. ამ გულს წვრილად დასჭრი და დაპობ. რამდენსაც ბლომად დაამზადებ თრიმლის გულს, იმდენად კარგა შეიღებება ძაფი. დამზადებულ ჩხირებს კარგა მოჰხარშავ, მერე ძაფსა და ძაფის 1/4 წონა შაბს ერთად თრიმლიან ქვაბში ჩაჰყრი, ცოტას ადუღებ, ისევ ძაფს ამოიღებ და ძროხის ადუღებულ შარდში დაჰტიტბავ. შემდეგ ძაფს ამოიღებ, ცივ წყალში გაჰრეცხავ და გააშრობ და ძაფი შეიღებება. ამ ნაირის ღებვისაგან ძაფს სრული ყვითელი ფერი არ ეძლევა, არამედ მოყვითლო, ამიტომაც ინგილონი ამ ფერს ყვითელს-კი არ ეძახიან, არამედ კაპრაშს. სრული ყვითელი ფერი ძაფს ეძლევა სვიისაგან. ბლომა სვიას წყალში მოჰხარშავ, შაბსაც შეურევ, ძაფსაც ქვაბში ჩაჰყრი და ადუღებ კარგა ხანს, მერე ძაფს ამოიღებ და ძროხის შარდში ერთ დღის განმავლობაში დაჰტიტბავ, შემდეგ დაჰრეცხავ და კარგი ყვითელი ძაფი დადგება.

შავად შეღებვა: „თაეშავა“ ბალახს დაჰგლეჯავ ფესვიანად, ქვაბში ბლომად ადუღებ ჟანგაროიანად, გაშავდება სრულიად, შემდეგ ძაფებსაც იმავე ქვაბში ჩაჰყრი და ბლომად ადუღებ, მერე წვენს ჟანგაროიანად ცალკე მენაში ჩაასხამ, ჩიგ ძაფსაც ჩააწყობ და ზედ დაჰხურავ. ძაფს მთვარემ არ უნდა დაჰკრას, ფერი წაუვაო, იტყვიან. ორ კვირაზე ძაფი მენაში სრულიად გაშავდება. ამ ორის კვირის განმავლობაში ისე უნდა მოიქცე, რომ დღე-გამოშვებით ძაფი მენიდამ ამოიღო, გასწურო, მზეზე გააშრო და ისევ მენაში ჩააწყო. ასე იმიტომ შვრებიან, რომ ძაფი არ დალპეს. ორის კვირის შემდეგ იმავე მენაში მყოფ წვენს აადუღებ, ძაფებსაც შიგ ცოტა ხანს ჩაჰყრი, შემდეგ ამოიღებ, გაჰრეცხავ ცივ წყალში, კარგა გასწურავ და მზეზე გააშრობ. ამით დასრულდება ძაფის შავად შეღებვა.

იისფერად (ისფერად) შეღებვა: კაკლის კაწახს ანუ კარწახს (ლენჯოს) ბლომად მოჰხარშავ და ძაფსაც შიგ ჩაჰყრი. კარგა ხანს ადუღებ, მერე ქვაბს ძაფიანად გადმოიღებ და ბლომად სუფთა ნაცარს შიგ ჩაჰყრი და ჯოხით დაუწყებ რევას. ნაცარი იმდენი უნდა ჩაჰყარო, რომ სულ მთლად ფაფად იქცეს. ზევრის რევის შემდეგ ძაფს შიგ ქვაბშივე მეორე დღემდის დასტოვებ, მეორე დღეს ძაფს ამოიღებ, ცივ-წყალში გაჰრეცხავ, გააშრობ და ძაფი მზათაა.

ამ ნაირად, მომეტებულად, მატყლის ძაფს (ბაწარს ჩვენებურად) ჰღებავენ და ყაჭ-ღომფალის ძაფსა და ხიათებს-კი უფრო მეტად ბაზარში აღებინებენ.

დიაღ, აქ ძაფს ექვს ფერადად ღებავენ. შეღებილ ძაფს მაჭანკლის ხელით დანიშნულს უგზავნიან და სახლში თითონაც ინარჩუნებენ შინაურ საჭიროებისათვის, შესაკერ-დასაკერად. მიტანილის ძაფით დანიშნული, როგორცა ვსთქვით, ჯეჯიმებსა და საბნებს იქსოვს. სულ უნდა მოქსოვოს 8—12 ჯეჯიმი, ყაჭის ორი ან სამი საბანი, 6—8 აბგა, ერთი ან ორი მარაში, რამდენიმე წყვილი ტოლალი, წინდა, ყოლანი, ჯეჯიმების საპირე (ჟიჟიმ-პირ), ქალამნის ბაღები და სხვა.

ჯეჯიმებსა და საბნებს ჭრელ-ჭრელებს ჰქსოვენ. სიჭრელისა და ფერადის მიხედვით ჯეჯიმი არის: თოჭამიანი (ბადე-ბადე, ანუ უჯრა-უჯრა), ეშკს ჭრელიანი, ყირს-ყინყირი (ორმოც ძეწკოვანი), ზარბაზ-ჭამიანი, ალღუ, ბეშ-ყარდაში (ხუთ-ძმოვანი), ბულბ-ბოჟნუზი (ბულას-რქიანი), გოგ-ჭამიანი (ცის-ფერი), კიდბანა-ჭრელი, თექ-ყინყირი (ერთ-ძეწკვოვანი), ალაყურთი, სავალაჲ, კიზკიზჲა, წონე-თახტაჲ და თუთრ-თახტაჲ, სულ 14 ნაირი.

ჰქსოვენ კმლითა. ძაფს ჯერ გააბმენ პალოებზე და ქუქოში გააძვრენ, გასჭიმეენ მაგრა და საქსოვის მხრით ქუქოს სამფეხა ტატიკელაზე საბლით (თოკი) ჩამოაბმენ. ქუქოს უკანიდგან ვარანგელა აქვს გატარებული, წინიდგან-კი კმალი მუშაობს. იქვე ზედ გაბმულ ხანაზე (საქსოვზე) ზის მქსოველი და ჰქსოვს. მქსოველს იქვე უდევს ჩხირი ან თითის-ტარი, რომლის მოსმითაც აწეწილი ძაფი ისევ თავის ადგილას ჩადგება ხოლმე; აგრეთვე იქვეა ერთი გორგალი „შიგ-სავალაჲ“ ძაფი. მქსოველი რომ ჩაჰბეჭავს, მერე კმალს გაატარებს, ყირაზე დააყენებს, რის გამო გაბმულ ხანას ზემო კეცი ძაფი მაღლა წავა, ამ დროს „სავალა“ გორგალს გაატარებს, მაგრა გასწევს და ძაფი რომ გასწორდება, მერე კმალს გადააწვენს და მაგრა ჩაჰკრავს. შემდეგ მეორედ და მესამედაც. ასე მუშაობს მქსოველი და ერთის დღის განმავლობაში ჯეჯიმს ერთ ან ერთნახევარ ხმლის სიგრძისას ჰქსოვს (ხმალი ერთის ადლის სიგრძისა არის), ვერლანსა და შალს ორის ხმლის სიგძისას. ჯეჯიმსა, ვერლანსა და შალს სიგანე ორ მტკაველზე მომეტებული არა აქვს, უფრო-კი ნაკლებია. ყოველ ვერდნისა და ჯეჯიმის სიგრძე კაცზე გრძელი არ არის ხოლმე, ამიტომაც ხანას (საქსოვს) რვა „განის“ სიგრძისას აბმენ. ოთხის «განის» ერთმანეთზე გადაკერებით ერთი ჯეჯიმი ანუ ერთი ვერლანი დგება. მაშასადამე, 12 ჯეჯიმისათვის საქსოვი ხანა უნდა გააბან ექვსჯერ და ერთხელაც ვერლნებისათვის. ჯეჯიმები რომ დაიქსოვება, ახლა მათი ნაბადზე გადაკვრაა საჭირო. ნაბდებს ფეჩქრებს აგებინებენ. 12 ჯეჯიმისთვის საჭიროა 12 ნაბადი და ამდენივე ცალკე დაქსოვილი „ჟიჟიმი-პირები“. ჯეჯიმებს ნაბდებზე რომ გადააკერენ, ახლა ჟიჟიმი-პირებს ჯეჯიმისავე ნაპირებზე მიაკერებენ. მერე ყოველს ჯეჯიმს ოთხად გადაჰკეცვენ და ჰქაძ (წყობად) ლამაზად დააწყობენ. ვერლანებსაც სქელ ნაბდებს (ჩიგლამას) დაუდებენ, ჩიგლამას კიდევ ქვემოდგან მთლად ჩითის პირებს მიაკერებენ.

(შემდეგი იქნება)

*) ამ შემთხვევისთვის ძროხის შარდი დილა ადრიან უნდა დაამზადონ, სხვა დროისა არ გამოდგება.

ნივთთა, რომლებიც მუშის უბედურ შემთხვევისაგან ასაცილებლად არის მოწყობილი.

— აბისინიის ეხლანდელს ნეგუსს მენელიკს შემდეგი ლეგენდა უამბნია თავისის კარის-კაცებისათვის შოას ზანგების ჩამომავლობის შესახებ: „როცა ღმერთმა ადამი გააჩინა, ტარტაროზმაც მიჰბაძა, გააკეთა კაცი, მაგრამ რადგან დაწყევლილი და დაკრულვილი იყო, ამიტომ რასაც-კი შეეხებოდა, ყველაფერი შავი და ბნელი ხდებოდა. აშკარაა, იმის შექმნილი კაციც შავი იყო. ტარტაროზმა იფიქრა, რომ მოდი გავრეცხავო, და ამ აზრით მდ. იორდანეში ჩააგდო. იორდანემ მაშინ უკუღმა დაიწყო დენა, ასე რომ მარტო ხელისა და ფეხის გულები დაუსველა ტარტაროზის მიერ შექმნილს, და ზანგსაც სწორედ ამიტომა აქვს ხელისა და ფეხის გულები უფრო თეთრი. განრისხებულმა ტარტაროზმა მუშტი შემოჰკრა თავის გაჩენილს კაცს ცხვირში და ზანგებსაც ამიტომ აქვთ გაჭყლეტილი ცხვირი. ნაცემი კაცი შებრალებასა სთხოვდა, ტარტაროზს გული მოულბა და თავზედ ალერსიანად ხელი გადაუსვა. ჯოჯოხეთურის ხელის გადასმამ ისე საშინლად იმოქმედა, რომ თმები აებურძგა ზანგს, დაეგრიხა და დაუკულულოვდა. კიდეც ამით განსხვავდებიან ზანგები სხვებისაგანაო“. მენელიკს დაუმატებია, რომ რამდენისამე ხნის შემდეგ უფალმა ღმერთმა შეიბრალა ერთი ჭაბუკი ზანგი და, რაკი კანის ფერი ველარ შეუცვალა, გული გამოუცვალა, სათნოება, პატიოსნება და ერთგულება ჩაუნერგა. ამ ზანგმა შემდეგში შოას სამეფო დაარსა და მენელიკები იმის შთამომავალნი არიანო.

# დეპეშა

12 სექტემბერი

პარიჟი. როგორც იუწყება შინაგან-საქმეთა სამინისტრო, ჯერ-ჯერობით გამოირკვა 560 არჩევანის საქმე. 576 კაცში არჩეულ-იქმნა: 244 რესპუბლიკელი, მათ შორის 167 ზომიერი და 57 რადიკალი; მოწინაალმდეგენი რესპუბლიკისა არჩეულნი არიან სულ 159 კაცი; მათ შორის: 86 რადიკალი, 51 ბონაპარტელი და 21 ბულანჟეს მომხრე. ხელმეორედ 177 არჩევანი უნდა მოხდეს. მათ შორის 135 რესპუბლიკელებისთვის სასარგებლოა, ხოლო 42 საწინააღმდეგო. სამინისტროს უწყებაში ბოლოს ნათქვამია, რომ მომავალს პალატაში იქნება: 369 რესპუბლიკელი და 201 მოწინააღმდეგე. ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული, ათს საკოლონიო არჩევანის გარდა, ექვსის არჩევანის ბედიო.

პეტერბურგის ბირჟა, 7 სექტემბერი.

| | მყიდველნი (მან. კ.) | გამყიდველნი (მან. კ.) | გაყიდულნი (მან. კ.) |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 65 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 152 1/4 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | 1 12 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 261 |
| — მეორისა | 238 1/4 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 97 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | 98 „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | 83 3/4 | — „ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

ნირხი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 1/2 | „ |
| „ 2 | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2 | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3 1/2 | „ |
| ქვავრის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | „ | |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 7 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## ქიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავ ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

იბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კვადაზე გემები.

# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | | |
|---|---|---|
| ცდა, კრებული, გამ. ალ. გარსევანაშვილის მიერ. | „ | 50 |
| ქართული გრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), შეთხზული და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან | „ | 55 |

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შემენილო წიგნები:

| | | |
|---|---|---|
| ცხოვრება ღირსისა მარიამ მახ კაპ მეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა» | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი | 1 | |
| საყმაწვილო ამბები | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა | „ | 80 |
| სურამის ციხე | „ | 20 |
| ვენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა | „ | 40 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პიესა | „ | 50 |
| მცხეთის სტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა | „ | 25 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა | „ | 40 |
| დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ | „ | 15 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ | „ | 50 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეგ. გაბაშვილისა | „ | 10 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა | „ | 15 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |
| თამარიანი, გუგუნავასი | „ | 50 |
| ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა II ნაწილი | 3 | „ |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა | „ | 5 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კაციტაძის მიერ | „ | 5 |
| თამარიანი, ვალექსილი გუგუნავასი | „ | 50 |
| პატარა მოამბე, ა. მირიანაშვილისა | „ | 10 |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები | „ | 50 |
| ნ. ბარათაშვილის ლექსები | „ | 40 |
| სამის თავ-გადასავალი, მოთხრობა კომედია, ა. ცაგარლისა | „ | 60 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ | „ | 30 |
| რუსულ - ქართული ლექსიკონი, მისივე | 3 | 60 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი | „ | 30 |
| ვაზის ობი | „ | 10 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | „ | 20 |
| თამარ-ცბიერი, აკაკისა | „ | 50 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ - მდებლისა (რუსულს ენაზე) | 3 | 50 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ | „ | 15 |
| დავით აღმაშენებელი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა | „ | 10 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი | „ | 45 |

კერძო ექიმ.

# პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის სასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8 მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესაყარში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (10—10)

# საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის.

წელიწადი მერვე.

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე კაცებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1889—90 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ; ახლად შემოსასვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანჟელიანცს ტფილისს. (12—11)

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი — 30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108 (50—42)

# კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

# დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს **ექვსი შაური** (30 კაპ.), ბუნების კარი—**თხუთმეტი შაური** (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად **ნაღდ ფულზე** იყიდის **ოც-და-ათ ცალს** დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის **ათს** ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც **ოც-და ათს ცალსა**,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც **ასსა** და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, **გასაგზავნი ხარჯი** თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას: Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 112.

Доз. ценз. Тифлисъ 12-го Сентября, 1889 года. სტამბა გ. გ. მესხისა. (Тиографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე